

სამკურნალო ტურიზმი, სამედიცინო ტურიზმი და ველნესის ფილოსოფია

ჯერომი კლაპკა ჯერომი (ინგლ. Jerome Klapka Jerome) ინგლისელი მწერალი იუმორისტი, დაიბადა 1859 წლის 2 მაისს უოლსოლში, სტარფორდშირის საგრაფოში. იგი 1888 წლის 21 ივნისს დაქორწინდა ჯორჯიანა ელიზაბეტ ჰენრიეტა სტენლი მერისზე (ინგლ. Georgina Elizabeth Henrietta Stanley Marris (a.k.a. Ettie)). მათ თავლობის თვე გაატარეს პატარა ნავში, მდინარე ტემზაზე და, როგორც ითვლება, ამ ფაქტმა განაპირობა მწერლის ყველაზე ცნობილი ნოველის „სამი კაცი ნავში, თუ არ ჩავთვლით ძაღლს“ (ინგლ. Three Men in a Boat (To Say Nothing of the Dog)) შექმნა. პერსონაჟების პროტოტიპები გახდნენ ავტორის მეგობრები ჯორჯ უინგრევი (George Wingrave) და ჰარისი –კარლ ჰენშელი (Carl Hentschel). მოთხრობაში აღწერილია კომიკური სიტუაციები, რომლებშიც მეგობრები ხვდებიან და ეს ყველაფერი გადაჯაჭვულია ტემზისა და მისი შემოგარენის ისტორიასთან [1].

რა თქმა უნდა, წინამდებარე სტატიის მიზანი არაა ამ ნოველის გარჩევა. უბრალოდ, მასში ავტორს შესანიშნავად აქვს აღწერილი ჯანმრთელობისათვის მოგზაურობა. ყველაფერი იწყება სამედიცინო ცნობარის გაცნობით, რა დროსაც მთავარ გმირს ახსენდება, რომ ნიკრისის ქართაა (პოდაგრა) დაავადებული. მის ამხანაგ ჰარისს აწუხებს თავბრუსხვევა, ჯორჯს კი ცუდი ძილი. მეგობრებისაგან შემდგარი კონსილიუმი გადაწყვეტს, რომ ყველა ამ დაავადების მიზეზი გადაღლაა. „რაც ჩვენ გვჭირდება – დასვენებაა. დასვენება და გარემოს შეცვლა... ტვინის გადაძაბვამ გამოიწვია ნერვული სისტემის დასუსტება. გარემოს შეცვლა და ფიქრის აუცილებლობის არარსებობა აღადგენენ გონებრივ წონასწორობას.“ ამის შემდეგ, მათ გადაწყვიტეს გამგზავრებულიყვნენ ნავით მდინარეზე, სადაც „... იქნება სუფთა ჰაერი, მოციონი და სიმშვიდე. ლანდშაფტის მუდმივი ცვლა მთლიანად დაიკავებს ჩვენს გონებას, ხოლო მომატებული ფიზიკური დატვირთვა უზრუნველყოფს კარგ მადას და მშვიდ ძილს“. ერთადერთი, ვინც ამ წინადადებით აღფრთოვანებული არ იყო, გახლდათ ძაღლი მონმორენსი.

მიიღეს რა გადაწყვეტილება, სამი კაცი, თუ არ ჩავთვლით ძაღლს, ნავით გაემგზავრა ჯანმრთელობის აღსადგენად. ამ ყველაფერს თანამედროვე მედიცინაში ეწოდება: Wellness Tourism, Medical Tourism და Health Tourism [2].

ველნესი (Wellness)

„ველნესი – ეს იმისთვის დახარჯული ფულია, რომ უფრო ჯანმრთელად იგრძნოთ თავი, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ჩვეულებრივი სამედიცინო პარამეტრებით „ავად“ არ ხართ. დღეს ადამიანების უმრავლესობას ფულზე მეტად, ჯანმრთელობის მოთხოვნა აქვს“. პოლ პილზნერი, ეკონომისტი და ანალიტიკოსი, აშშ პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩეველი.

Wellness –ინგლისურიდან პირდაპირ თარგმანში ნიშნავს კარგ ჯანმრთელობას (განსაკუთრებით როგორც ჯანმრთელი ცხოვრების წესის შედეგს). Wellness წარმოებულია “be well”–გან, რაც ნიშნავს „კარგ თვითშეგრძნებას“ ან „კეთილგანწყობას“ – ეს არის სხეულისა და სულის, გონების ბალანსი, ტერმინი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობას, სწორ კვებას, ზომიერ ფიზიკურ დატვირთვას, მავნე ჩვევებისაგან განთავისუფლებასა და სამყაროსადმი კეთილ დამოკიდებულებას.

ველნესის მთავარი ამოცანა დაავადებებისა და, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი დაბერების ნიშნების თავიდან აცილება და პროფილაქტიკაა. ველნესი ადამიანის კარგი მდგომარეობის ფილოსოფიაა, მისი არსებობის ყველა – სულიერ, სოციალურ თუ ფიზიკურ –სფეროში. ის ვინც ველნესის ფილოსოფიით ცხოვრობს, ასაკის მიუხედავად – იღბლიანი, წარმატებული და ენერგიით სავსე ოპტიმისტია. ის საკმაო ყურადღებას უთმობს თავისი სხეულის გარეგნულ მდგომარეობას, მისდევს ჯანმრთელი კვების პრინციპებს და იღებს ზომიერ ფიზიკურ დატვირთვებს. ამ ფილოსოფიის ძირითადი პრინციპებია:

- მოძრაობა;
- გონებრივი აქტიურობა;
- მოდუნება და ჰარმონია;
- სილამაზე და სხეულის მოვლა;
- დაბალანსებული კვება.

ველნესი, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების სტილის შეცვლას გულისხმობს და არა რაიმე კონკრეტული დაავადების მკურნალობას.

2002 წლის კვლევებით ველნესის ძირითადი მომსახურებები მიმართული იყო პროფილაქტიკაზე (70%) და დასვენებაზე (23%). ველნესი, პირველ რიგში, განკუთვნილია ქალაქელებისათვის, რომლებისთვისაც, დამაბული ცხოვრების რიტმისა და ხშირი სტრესების მიუხედავად, დამახასიათებელია არა ერთჯერადი დიდხნიანი შვებულება, არამედ მრავალჯერადი უიკენდები, დამატებითი დასვენების დღეებით.

ლიტერატურაში ტერმინი „ველნესი“ პირველად 1654 წელს გამოჩნდა. მაგრამ, როგორც კულტურა, ჩაისახა XX საუკუნის 60–იან წლებში ამერიკაში, როცა ამერიკელმა ექიმმა ჰელბერტ ლ. დუნმა (Halbert L. Dunn, M.D) შემოიტანა ცნება „ველნესი“ და პირველმა ჩამოაყალიბა ხარისხიანი ცხოვრების ძირითადი პრინციპები. დუნის გარდა ველნესის განვითარებასა და პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვით ისეთ მეცნიერებს, როგორებიც არიან Deepak Chopra, Michael Roizen, Mehmet Oz, Don B. Ardell, John Travis, David F. Duncan, and Andrew Weil [4].

გასული საუკუნის 90–იანი წლებიდან ველნესი უკვე ევროპაშიც იკიდებს ფეხს და ნელ–ნელა იხვეჭს პოპულარობას, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით საქართველოზე. მეტიც, ჩვენს ქვეყანაში თვით ტერმინი „ველნესი“ უცხო ხილია. ამ დროს ფიტნესი უკვე ჩვეულ, მოდურ და ხშირად გამოყენებად ტერმინადაა ქცეული.

დღეს ფიტნესი ველნესის შემადგენელ ნაწილად განიხილება, რადგან ეს უკანასკნელი უფრო ფართო ცნებაა, რომელიც გულისხმობს დიეტოლოგიის, სარეაბილიტაციო პროგრამების, ფსიქოლოგიური გაჯანსაღების, სპა და სხვა პროცედურების კომპლექსურ გამოყენებას. ეს ყველაფერი ერთად იწვევს ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, რაც, თავის მხრივ, სულიერი წონასწორობის აღდგენის საფუძველიც ხდება.

ველნესის აღჭურვილობა იყოფა ორ ჯგუფად:

- აქტიური ვარჯიშებისათვის განკუთვნილი (ტონუსური მაგიდები, ვაკუუმური ტრენაჟორები, იზოტრენაჟორები, ბალანს–პლატფორმები, ვიბრო–პლატფორმები და სხვა);
- პასიური პროცედურებისათვის განკუთვნილი (პრესოთერაპია, მაგნიტოთერაპია, თერმოთერაპია ინფრაწითელი სხივებით, მასაჟის საწოლები და სხვა).

მიუხედავად გარკვეული განსხვავებისა, ტერმინში Wellness Tourism სხვადასხვა ქვეყნებში პრინციპული სხვაობა არ არის. ველნეს ტურისტი – ყველაზე ხშირად, საკამოდ კარგი ჯანმრთელობის მქონე ადამიანია, რომლებიც დედამიწის პრაქტიკულად ჯანმრთელი მოსახლეობის 7-8%-ს შეადგენს. გარდა ამისა, ველნეს ტურისტები არიან ჯანმრთელობის რეზერვების გაზრდაში დაინტერესებული ადამიანები, რომლებიც ცდილობენ თავიდან აიცილონ ქრონიკული დაავადებების გამწვავება [2].

სამკურნალო ტურიზმი (Health tourism)

ადამიანები, რომელთა მოგზაურობის მიზანია დაავადების შემდგომი პროგრესირების თავიდან აცილება, ხვდებიან მეორე კატეგორიაში, რომელსაც სამკურნალო ტურიზმს (Health tourism) უწოდებენ. სტატის დასაწყისში აღწერილ შემთხვევაში „სამი კაცს, თუ არ ჩავთვლით ძაღლს“, ნავის მაგივრად, spa-ცენტრიანი საკრუიზო გემით რომ ემგზავრათ, იქნებოდა სამკურნალო ტურიზმი.

„ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონში სამკურნალო ტურიზმი ასეა განმარტებული: „კურორტების გამოყენება მკურნალობის, სამედიცინო გამოკვლევისა და სხვა სამედიცინო მომსახურების მისაღებად“ [5].

სამედიცინო სპა – ცენტრების საერთაშორისო ასოციაცია სამკურნალო ტურიზმს კი ასე განსაზღვრავს: „ეს არის მოგზაურობა ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით, რომელიც ითვალისწინებს ვიზიტს კურორტზე ან წონის დასაკლებ ცენტრში“.

საქართველოს საკურორტო პოტენციალის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, სამკურნალო ტურიზმი ერთ-ერთი პერსპექტიული დარგია, რომლის განვითარებასაც ქვეყნისთვის სერიოზული ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეუძლია.

აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საკურორტო ინდუსტრია, სწორედ, საქართველოში იყო ყველაზე მეტად განვითარებული. მაშინდელი სტატისტიკის კომიტეტის მონაცემებით 1989 წელს საქართველოს საკურორტო დაწესებულებებში მკურნალობისა და დასვენების კურსი გაიარა 980 ათასმა პაციენტმა. იმის გათვალისწინებით, რომ კურორტის ერთი საგზური 12-18-24 დღიანი იყო, ადვილი დასათვლელია, თუ რა კოლოსალური რაოდენობის საწოლ-დღეებზეა საუბარი.

მართალია, ეს იყო გეგმიური საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკის პერიოდი და ტურისტთა მსგავს რაოდენობაზე დღეს ფიქრიც კი ზედმეტია, მაგრამ ის, რომ სამკურნალო ტურიზმის განვითარებაზე სერიოზული მუშაობა უნდა დაიწყოს, ეჭვი, ალბათ, არავის ეპარება. თუმცა, ისიც უდავოა, რომ არესბული საკურორტო ინფრასტრუქტურა კარდინალურ შეცვლასა და განახლებას, ხოლო მომსახურე პერსონალი ფუნდამენტურ მომზადებასა და გადამზადებას საჭიროებს.

სამედიცინო ტურიზმი (Medical tourism)

სამედიცინო ტურიზმი – ეს ტერმინი აღნიშნავს უცხოეთში სამედიცინო მომსახურების მიღების პრაქტიკას, რომელიც შეთავსებულია დასვენებასთან და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღებასთან.

ვიკიპედიაში სამედიცინო ტურიზმზე (იგივე, სამედიცინო მოგზაურობა ან გლობალური ჯანდაცვა) წერია, რომ ეს „ტერმინი შემოტანილ იქნა ტურისტული სააგენტოებისა და მასობრივი ინფორმაციის

საშუალებების მიერ” და აღნიშნავდა იმ სწრაფად ზრდად საერთაშორისო მოგზაურობების სეგმენტს, რომელთა მიზანი ჯანდაცვის მიღება იყო.

მომსახურებები, რომლებსაც ამ ტიპის მოგზაურები მოიხმარენ აერთიანებენ ისეთ პროცედურებს როგორცაა – სპეციალური ოპერაციები, მაგალითად სახსრის (მუხლის/მენჯის) შეცვლა, გულის ქირურგია, სტომატოლოგია და კოსმეტიკური ოპერაციები. თუმცა, მასში შედის ჯანდაცვის ფაქტიურად ყველა სახე, მათ შორის ფსიქიატრია, მკურნალობის ალტერნატიული მეთოდები და სხვა [6].

სამედიცინო ტურიზმი დიდი პოპულარობით სარგებლობს აშშ-ში, კანადასა და დასავლეთ ევროპაში. აშშ-ში დაახლოებით 110 მლნ ადამიანია, რომლებიც დაავადებულნი არიან სხვადასხვა ქრონიკული დაავადებებით, რომელთა მკურნალობასაც დაზღვევა არ უნაზღაურებს. ამიტომ ბევრი ამერიკელი მიდის უცხოეთში კარდიოლოგიური, ორთოპედიული თუ სხვა დაავადებების სამკურნალოდ. მაგ. ტაილანდში ან ინდოეთში ერთი და იგივე მკურნალობის ფასი, ხშირად, მეოთხედი ან შეიძლება მეათედიც კი იყოს აშშ-სთან შედარებით.

განსხვავებული მდგომარეობაა კანადასა და დიდ ბრიტანეთში, სადაც ამ ქვეყნების მოქალაქეებს სახელმწიფო დაზღვევა აქვთ, მაგრამ ექიმთან მოსახვედრად თვეები და შეიძლება 2 წელიც კი დასჭირდეთ, ამიტომ აჩვენებს უცხოეთში გამგზავრებასა და მკურნალობას [7].

სამედიცინო ტურიზმი აქტიურად ვითარდება საქართველოშიც. ბევრი ქართველი მიემგზავრება თურქეთში, ავსტრიაში, ისრაელში, გერმანიასა თუ აშშ-ში. რა თქმა უნდა, ეს იმიტომ არ ხდება, რომ ამ ქვეყნებში მკურნალობა იაფია – პირიქით. მაგრამ აქ უკვე სხვა მიზეზები გამოდის წინა პლანზე, როგორცაა სამედიცინო ცენტრების უკეთესი აღჭურვა, ექიმთა გაცილებით მაღალი კვალიფიკაცია, დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები და სხვა.

თუმცა, საქართველოდან არა მარტო გადიან ქართველები, არამედ უცხოელი პაციენტები ჩამოდიან კიდევ. კარგ მაგალითად გამოდგება თმის გადანერგვის კლინიკა თალიზი, რომელსაც ბევრი მომხმარებელი ჰყავს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან (საფრანგეთი, სამხრეთ კორეა, უკრაინა და სხვა) [8].

„მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყანა ახდენს სამედიცინო ტურიზმის, როგორც ეროვნული ეკონომიკის დარგის იდენტიფიცირებას. თუმცა, აკრედიტაციისა და ხარისხის კონტროლის მექანიზმები მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ ქვეყნებში, რაც იმას განაპირობებს, რომ ზოგიერთი მათგანი საშიში ან ძალიან საშიშიც კი შეიძლება იყოს სამედიცინო ტურისტებისათვის“ [6].

საქართველოს ტურიზმის ამ სახის განვითარებისთვისაც კარგი პერესპექტივა გააჩნია. მედიცინის ბევრ დარგში ქართველი ექიმების პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია ეჭვს არ იწვევს. ახლად შექმნილი სამედიცინო ცენტრებისა თუ საავადმყოფოების ტექნიკური აღჭურვილობაც, ხშირ შემთხვევაში, დამაკმაყოფილებელია. ჩემი აზრით, ამ კუთხით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა გააქტიუროს მუშაობა, რათა ქართული კლინიკების მიერ მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აკრედიტაციების გავლა და ხარისხის კონტროლის მექანიზმების დანერგვა. ამის შემდეგ, ტურიზმის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, უნდა შემუშავდეს სამედიცინო ტურიზმის განვითარების მასტერ-პლანი და ეტაპობრივად მოხდეს მისი განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://en.wikipedia.org/wiki/Jerome_K._Jerome
2. <http://www.sankurtur.ru/world/land/565/>
3. <http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%92%D0%B5%D0%BB%D0%BD%D0%B5%D1%81>
4. [http://en.wikipedia.org/wiki/Wellness_\(alternative_medicine\)](http://en.wikipedia.org/wiki/Wellness_(alternative_medicine))
5. საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტის შესახებ“, 1997 წლის 6 მარტი, მუხლი 2
6. http://en.wikipedia.org/wiki/Health_tourism
7. http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9C%D0%B5%D0%B4%D0%B8%D1%86%D0%B8%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D1%82%D1%83%D1%80%D0%B8%D0%B7%D0%BC
8. <http://ge.talizi.ge/>